სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N 5

ქ. თბილისი 21 იანვარი 2020წ.

ჩვენ, ერთის ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა ს.კ. 426111897 (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი **დირექტორის გიორგი გელაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, შპს ''ურბან სერვისი''-ს ს.კ. 405352684 (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი ჯაფარიძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის, ,,თ“ პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის 26 დადგენილების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებლის შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც გაუწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი და საგარანტიო პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველი ბალანსზე რიცხული ნაგავშემკრები მანქანების (ჩამონათვალი მოცემულია დანართიN1-ში) ტექნიკური მომსახურება (სარეგლამენტო სამუშაოები), ავტოტექმომსახურება-შეკეთება, და შესაბამისი ნაწილებით უზრუნველყოფა.

2.2. ტექნიკური მომსახურების დროს გამოყენებულ სათადარიგო ნაწილებზე ვრცელდება გარანტია 6 თვე, აღნიშნული ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი/დაზიანება.

2.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძირითადი აგრეგატების დაზიანების შემთხვევაში (გარდა, სარეგლამენტო მარაგ ნაწილების, ცვეთადი ნაწილების, გარეგანი დაზიანებების, მექანიკური სახის დაზიანების და არასწორი ექსპლუატაციის გამო გამოწვეული დაზიანებების) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დაზიანების აღმოფხვრა შემსყიდველის მიერ ნებისმიერი სახით შეტყობინების მიღებიდან 45 სამუშაო დღის განმავლობაში (განსაკუთრბულ შემთხვევაში შემსყიდველთან წერილობით შეთანხმებულ გონივრულ ვადაში)

2.4. 2.3 პუნქტში მოცემული გარანტია ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ **ნაგავშემკრებ მანქანას** სარეგლამენტო სამშაოები ჩატარებული აქვს „მიმწოდებლის“ მიერ და საწვავის კატალიზატორის შესყიდვა ხორციელდება „მიმწოდებლისგან“.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მომსახურების გაწევის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს **15000 (თხუთმეტი ათასი)** ლარს.

3.3. ერთეულის ღირებულებები მოცემულია დანართ 2-ში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

3.4. თუ მომსახურების პროცესში აღმოჩნდება, რომ საჭიროა ისეთი მომსახურების და/ან სათადარიგო ნაწილის მიწოდება, რომლის ფასიც განსაზღვრული არ არის დანართი №2-ით, ასეთ შემთხვევაში მომსახურების გაწევა იწარმოებს ორივე მხარის უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი და დამოწმებული დეფექტური აქტის საფუძველზე.

3.5. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურება შეისყიდოს მხოლოდ მისი საჭიროების შესაბამისი მოცულობით.
3.6. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიწოდების ყველა ხარჯს (მათ შორის სათადარიგო ნაწილების ღირებულებას) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.
3.7. თუ მომსახურების პროცესში აღმოჩნდება რომ საჭიროა ისეთი მომსახურების და/ან სათადარიგო ნაწილის მიწოდება, რომლის ფასიც განსაზღვრული არ არის დანართი №2-ით, ასეთ შემთხვევაში ფასი მხარეების შეთანხმების საფუძველზე განისაზღვრება.

4. ანგარიშსწორების წესი
4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.
4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
4.3 დაფინანსების წყარო: **2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი**
4.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, გაწეული მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტაციის- გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტების და საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიმწოდებლის მიერ წარმოდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და ინსპექტირება
5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მომსახურების გაწევის კონტროლი და ინსპექტირება
5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.
5.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს/ინსპექტირებას განახორციელებს **ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობის დირექტორი გიორგი გელაშვილი.**

6 მომსახურების გაწევის პირობები
6.1 მომსახურების განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან **2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**
6.2 მომსახურება გაწეულ უნდა იქნას საქართველოს მასშტაბით დაუყოვნებლივ, რიგგარეშე;
6.3 მომწოდებელი ვალდებულია მომსახურება გაგვიწიოს მობილური ჯგუფის მიერ ადგილზე მისვლით, მომსახურების ვადები თითოეულ შემთხვევაზე არ უნდა აღემატებოდეს: სავალი ნაწილებისთვის - 10 დღეს, ელექტროობისთვის - 10 დღეს, ძირითადი აგრეგატებისთვის - 15 დღეს.
6.4 თუ გასაწევი მომსახურებისთვის საჭირო ნაწილი არ არის მიმწოდებლის საწყობში, მომსახურების ვადა განისაზღვრება მხარეების ურთიერთშეთანხებით, მაგრამ არაუმეტეს 60 სამუშაო დღისა, რაც აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს დეფექტურ აქტში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
7.1 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების გაწევისას თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე სრულყოფილად შევსებული გაწეული მომსახურების შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი N 3) და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი N 4)

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია დამრღვევ მხარეს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, მხარეებს აქვთ უფლება შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.4 მხარეები ვალდებულების არიან, ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები გადაიხადონ მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული

შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 შემსყიდველი ვალდებულია 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

10.2 ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 და 2.3 პუნქტები ძალაშია მთელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

14. შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

15.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) ხელშეკრულების ფარგლებში გამოითხოვოს "მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო დოკუმენტი.

15.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

15.3. ”მიმწოდებელი” უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს ”შემსყიდველს” გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
15.4. ”მიმწოდებელი” ვალდებულია:
ა) მომსახურება გაწიოს სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით ხელშეკრულების პირობების შესაბამისად
ბ) მომსახურება გაწიოს ახალი (ექსპლუატაციაში არ მყოფი) სათადარიგო ნაწილებით;
გ) უზრუნველყოს მისი ბრალეულობით ,,შემსყიდველისთვის'' მიყენებული მატერიალური და არა მატერიალური ზარალის ანაზღაურება.
15.5. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

16. დამატებითი პირობები

16.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.2მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.3ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი:

ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება
და კეთილმოწყობა
ს/კ: 426111897
მის: ბორჯომი, მესხეთის ქ.№146ა
ტელ: 0367-22-29-54; 599193020
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ა/ა 748337499

Borjomi Cleaning
and Landscaping

გიორგი გელაშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს ,,ურბან სერვისი''
მის: ქ.თბილისი, სოფელი დიღომი, კვირაცხოვლის 2 შესახვევი #11
კოდი: CRTUGE22
ა/ა IBAN GE80CR0120009486233602
ს/კ 405352684
ტელეფონი: 322 51 42 34, 571222255

LTD URBAN
SERVICE

Digitally signed by LTD URBAN SERVICE
Date: 2020.01.21 16:27:24 +04'00'

ირაკლი ჯაფარიძე
დირექტორი

დანართი 1

#	მარკა	მოდელი	სერიანომერი	ვინ კოდი	გამოშვებისწელი
1	ISUZU	NQR71PL	JJ509IJ	NSBNFR71PJS313312	2018
2	ISUZU	NQR71PL	JJ508IJ	NSBNFR71PJS313311	2018
3	ISUZU	NQR71PL	JJ506IJ	NSBNFR71PJS313107	2018

შემსყიდველი:

ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება
და კეთილმოწყობა
ს/კ: 426111897
მის: ბორჯომი, მესხეთის ქ.№146ა
ტელ: 0367-22-29-54; 599193020
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ა/ა 748337499

Borjomi Cleaning
and Landscaping

გიორგი გელაშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს „ურბან სერვისი"
მის: ქ.თბილისი, სოფელი დიღომი, კვირაცხოვლის 2 შესახვევი #11
კოდი: CRTUGE22
ა/ა IBAN GE80CR0120009486233602
ს/კ 405352684
ტელეფონი: 322 51 42 34, 571222255

ირაკლი ჯაფარიძე
დირექტორი

დანართი 2

სარეგლამენტო სამუშაოების ჩამონათვალი, მარაგ ნაწილებისა და მომსახურების ფასების მითითებით

#	მომსახურების დასახელება	ნაწილის დასახელება	განზომილება	ნაწილის ფასი (ლარი)	მომსახურების ფასი (ლარი)	
1	ძრავის ზეთის შეცვლა	ძრავის ზეთი	ლიტრი	15,00	25,00	
2	ძრავის ზეთის ფილტრის შეცვლა	ძრავის ზეთის ფილტრი	ცალი	60,00	10,00	
3	საწვავის ფილტრის შეცვლა	საწვავის ფილტრი	ცალი	75,00	15,00	
4	საწვავის ფილტრის შეცვლა	საწვავის ფილტრი უხეში	ცალი	75,00	5,00	
5	ჰაერის ფილტრის შეცვლა	ჰაერის ფილტრი შიდა	ცალი	100,00	10,00	
6	ჰაერის ფილტრის შეცვლა	ჰაერის ფილტრი გარეთა	ცალი	120,00	10,00	
7	ჰიდრავლიკური ფილტრის შეცვლა	ჰიდრავლიკური ფილტრი	ცალი	50,00	15,00	
8	წინა ამორტიზატორის შეცვლა	წინა ამორტიზატორი	ცალი	250,00	50,00	
9	წინა ხუნდების შეცვლა	წინა ხუნდები	ცალი	250,00	100,00	
10	უკანა ხუნდების შეცვლა	უკანა ხუნდები	ცალი	250,00	100,00	
11	ღვედის შეცვლა	ღვედი	ცალი	70,00	70,00	
12	გადაცემათა კოლოფის ზეთის შეცვლა	გადაცემათა კოლოფის ზეთი	ლიტრი	17,00	35,00	
13	უკანა ხიდის ზეთის შეცვლა	უკანა ხიდის ზეთი	ლიტრი	28,00	30,00	
14	ძრავის ამძრავის შეცვლა	ძრავის ამძრავი	ცალი	680,00	80,00	
15	გენერატორი(დინამო)	გენერატორი(დინამო)	ცალი	680,00	80,00	
16	წინა მორგვის საკისარის გამოცვლა	წინა მორგვის საკისარი შიდა	ცალი	80,00	100,00	
17	წინა მორგვის საკისარის გამოცვლა	წინა მორგვის საკისარი გარე	ცალი	60,00	80,00	
18	ძრავის უკანა ბალიშის გამოცვლა	ძრავის უკანა ბალიში	ცალი	50,00	60,00	
19	ძრავის წინა ბალიშის გამოცვლა	ძრავის წინა ბალიში	ცალი	50,00	60,00	
20	გადბმულობის დისკო	გადაბმულობის დისკო	ცალი	600,00	440,00	

21	გადაბმულობის დამწოლი ქურო	გადაბმულობის დამწოლი ქურო	ცალი	560,00	440,00	
22	ციმციმას რელე	ციმციმას რელე	ცალი	40,00	30,00	
23	უკანა ხედვის სარკის გამოცვლა მარცხენა	უკანა ხედვის სარკე მარცხენა	ცალი	188,00	17,00	
24	უკანა ხედვის სარკის გამოცვლა მარჯვენა	უკანა ხედვის სარკე მარჯვენა	ცალი	188,00	17,00	
25	ანტიფრიზი	ანტიფრიზი	ლიტრი	30,00	0,00	
26	გადაბმულობის დიკოს გადაკვრა	გადაბმულობის დისკოს გადაკვრა	ცალი	0,00	420,00	
27	ჯვარას გამოცვლა	ჯვარა	ცალი	95,00	110,00	
28	თერმოსტატის გამოცვლა	თერმოსტატი	ცალი	80,00	67,00	
29	აბეესის სენსორის შეცვლა	აბეესის სენსორი	ცალი	55,00	60,00	
30	წინა მარჯვენა ენერგო აკუმლატორის შეცვლა	წინამარჯვენა ენერგოაკუმლატორი	ცალი	280,00	40,00	
31	წინა მარცხენაენერგო აკუმლატორის შეცვლა	წინა მარცხენა ენერგოაკუმლატორი	ცალი	280,00	40,00	
32	უკანა მარჯვენა ენერგოაკუმლატორის შეცვლა	უკანა მარჯვენა ენერგოაკუმლატორი	ცალი	320,00	60,00	
33	უკანა მარცხენა ენერგოაკუმლატორის შეცვლა	უკანა მარცხენა ენერგოაკუმლატორი	ცალი	320,00	60,00	

- *კატალიზატორი AD Blue -ს ფასი შეადგენს 3 ლარი - 1 ლიტრი (20 ლიტრიანი კასრით)*
- *მობილური ჯგუფის ადგილზე მომსახურების საფასური: 1 კმ/1 ლარი. კილომეტრაჟი აითვლება (თბილისი, აღმაშენებლის 1 კმ-მომსახურების ადგილი-თბილისი, აღმაშენებლის 1 კმ)*

შემსყიდველი:

ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება
და კეთილმოწყობა
ს/კ: 426111897
მის: ბორჯომი, მესხეთის ქ.№146ა
ტელ: 0367-22-29-54; 599193020
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ა/ა 748337499

Borjomi Cleaning
and Landscaping

გიორგი გელაშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს „ურბან სერვისი"
მის: ქ.თბილისი, სოფელი დიღომი, კვირაცხოვლის 2 შესახვევი #11
კოდი: CRTUGE22
ა/ა IBAN GE80CR0120009486233602
ს/კ 405352684
ტელეფონი: 322 51 42 34, 571222255

ირაკლი ჯაფარიძე
დირექტორი

დანართი #3

გაწეული მომახურების შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი №

დამკვეთი						ხელშეკრულების №	
შემსრულებელი						თარიღი	
ა/მანქანის მარკა/მოდელი				სატრანსპორტო საშუალების დისლოკაციის ადგილი			
სახელმწიფო №				ოდომეტრის ჩვენება			
გამოშვების წელი							
№	შესრულებული სამუშაო	რაოდენობა	განზომილება	№	შეცვლილი სათადარიგო ნაწილები	რაოდენობა	განზომილება
1				1			
2				2			
3				3			
4				4			
5				5			
6				6			
7				7			

ავტომობილზე პასუხისმგებელი პირი:

სახელი გვარი---------- მიმწოდებელი ---------

ხელმოწერა ----------

შემსყიდველი -

ხელმოწერა ----------

დანართიN 4

გაწეული მომახურების მიღება-ჩაბარების აქტი #-------

დამკვეთი		ხელშეკრულების №	
შემსრულებელი		თარიღი	
ა/მანქანის მარკა/მოდელი		სატრანსპორტო საშუალების დისლოკაციის ადგილი	
სახელმწიფო №		ოდომეტრის ჩვენება	
გამოშვების წელი			

№	შესრულებული სამუშაო	რაოდენობა	განზომილება	ერთ. ფასი	სულ ფასი	№	შეცვლილი სათადარიგო ნაწილები	რაოდენობა	განზომილება	ერთ. ფასი	სულ ფასი
1						1					
2						2					
3						3					
4						4					
5						5					
6						6					
7						7					

შემსყიდველი_____ მომწოდებელი_____

კომპანიის წარმომადგენელი(სახელი, გვარი)_____

ხელმოწერა_____